განკარგულება:**გ-49. 492611411**
თარიღი:**24/04/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით , სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482610497, 14/04/2026) წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით , სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით , სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ღირებულება	ქირის საწყისი წლიური საფასური (ლარში) (საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 8 %)
1	2	3	4	5
ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, ცენტრალური პარკის ტერიტორია	398 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 398 კვ.მ (კაფე-ბარი-შენობა-ნაგებობა N08(1))	29.08.34.187	256 000	20 480 მოიჯარემ იჯარის თანხის გადახდა დაიწყოს საჯარო რეესტრში ხელშეკრულების რეგისტრაციის თარიღიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.